აქ უჩვენებენ შექსპირის, გოლდონიხა და სხვა დრამატურგების პიესებს ისეთ მაყურებლებს, რომელთა დიდი ნაწილი აქამდე არც ყოფილა თეატრში.

ახალგაზრდა მუშებში დიდი მოწონებით სარგებლობს ბ. დროზდოვსკის „ხამგლოვიარო გზა“. სპექტაკლის გმირი სცენაზე არ ჩანს. იგი ჯერ კიდევ მოქმედების დაწყებამდე მოკვდა შახტის აფეთქების შედეგად. ამ ახალგაზრდა მუშის ცხოვრებას. გზას ხოფლიდან შახტამდე მაყურებელი ეცნობა მისი მეგობრების მონათხრობით, რომელნიც მუშის გვამს მშობლიურ სოფელში მიახვენებენ. „ხამგლოვიარო გზა“ არის სპექტაკლი ადამიანთა ხოლიდარობაზე.

ფილმი გალინა ულანოვაზე

თანამედროვეობის უნიკიერესი ბალერინას გალინა ულანოვას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე შექმნეს ფილმი დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის რეჟისორებმა ლ. კრისტიმ და მ. სლავინსკაიამ, სცენარისტმა ბ. ლეოვ-ანოხინმა. ფილმი შედგენილია სხვადასხვა დროს ფირზე აღბეჭდილი სცენარებისაგან. კინოლენტის დიდი ნაწილი ფრაგმენტებია ბალეტებიდან „გედის ტბა“, „გერია“, „ბახჩისარაის შადრევანი“, „წითელი ყვავილი“, „რომეო და ჯულიეტა“, „ეროელი“.

გარდა იმ ეპიზოდებისა, რომლებიც ულანოვას გვიჩვენებენ რამპის შუქზე, ფილმში ჩართულია სარეპეტიციო დარბაზში, მოწაფეებთან მეცადინეობის დროს, მოსკოვის ქუჩებში, საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს გადაღებული კადრები. რამდენმე სცენა ეძღვნა მსახიობის ბიოგრაფიას, აგრეთვე იმათ, ვინც შეიყვანა იგი ხელოვნების სამყაროში. და ასწავლა უსაზღვროდ ერთგული ყოფილიყო მისი.

ფილმი მაყურებელს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს; ულანოვას ცეკვა ხომ ისევე დაუშრეტელია, როგორც სრულყოფილი მუსიკა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ავტორებმა, რომლებმაც მიზნად დასახეს ეამბნათ გალინა ულანოვას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ—არასაკმარისად გამოიყენეს დეტალები და მეტის-მეტად ლაკონურად ასახეს სახალხო არტისტის ცხოვრება, მისი შემოქმედებითი პოეტური სამყარო და ყურადღება შემოქმედების შედეგებზე გაამახვილეს.

სახალხო კინოსტუდიაში

პირველი მხატვრული ფილმის „მეორე სიცოცხლის“ გადაღება დაამთავრა თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების „ისნის“ სახალხო კინოსტუდიამ. ფილმი აშუქებს დიდი სამამულო ომის გმირი პარტიზანების საქმიანობას. სცენარის ავტორი და ფილმის რეჟისორია მ. სიმხაევი.

სახალხო კინოსტუდია „ისანი“ შეიქმნა 1962 წელს. ახლა იგი აერთიანებს დაახლოებით 380 კაცს — მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, პედაგოგებს. მათ უკვე გადაიღეს 15 კინოფილმი, მოამზადეს 18 კინოოპერატორი.

ფაბრიკის კინოთეატრთა ეკრანებზე უკვე უჩვენეს კინომოყვარულთა ნარკვევები საუკეთესო მუშაკების ნ. განჯარაშვილისა და გ. გეორქიანის შესახებ. აგრეთვე კინოჟურნალი, რაც ეძღვნება მუშების შეხვედრას პოეტ ი. ნონეშვილთან, ორი სპორტული გამოშვება და სხვ.

ფერადი მუსიკა

შეიძლება თუ არა მუსიკის დანახვა? საუკუნეების მანძილზე ხელოვნების მოღვაწენი, ფილოსოფოსები, ბუნებისმეტყველნი ცდილობდნენ მიეღოთ ფერადი მუსიკა, მაგრამ ამაოდ. ამ სახის მეცნიერული ექსპერიმენტი ჩაატარა ახალგაზრდა ინჟინერ-ელექტრონიკოსმა კონსტანტინე ლეონტიევმა, რომელიც მუსიკის დიდი მოყვარულია.

ლონდონში საბჭოთა ხარეწველო გამოფენის სტუმრებმა არათუ მოისმინეს მუსიკა, არამედ ხაკუთარი თვალითაც დანახეს იგი. რთული ელექტრონული მანქანები „ისმენენ“ რა მუსიკის დაკვრას, თვითეული თანხმიანობისათვის არჩევენ ფერადების მდიდარ ელფერს და აჩვენებენ მათ ეკრანზე, ბგერის ფერად გარდამქმნელი ეს ელექტრონული მანქანა შეხრულებულია კიბერნეტიკის ზოგადი პრობლემების ლაბორატორიაში.

ფერადი მუსიკა გამოყენებული იქნება განსაკუთრებით იქ, სადაც ხაჭიროა ინფორმაციის გაცვლა მანქანასა და ადამიანს შორის.